ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

სკოლის მისიაა მოსწავლეს მისცეს ზოგადი განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე. აღზარდოს ღირსეულ ადამიანად და მოამზადოს ცხოვრებაში წარმატებული ადგილის დასამკვირდებლად. ასევე, განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება, ჩამოუყალიბოს ისეთი უნარ-ჩვევები როგორცაა: ტოლერანტობა, კანონმორჩილება, ვალდებულების მაღალი შეგნება და პატრიოტიზმი, დაეხმაროს მას სწორი არჩევანის გაკეთებაში.

სკოლა იზრუნებს სწავლების ყველა საფეხურზე, მოსწავლეს შეუქმნას უსაფრთხო გარემო და სწავლისათვის საჭირო ყველა თანამედროვე პირობა. ასევე, სკოლა იზრუნებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და მათი საქმიანობის ხელშეწყობაზე.

სკოლის ხედვა

მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებით უზრუნველყოს ჯანსაღი, შემოქმედებითი, ჰუმანური, სამართლიანი და თანასწორობაზე დაფუძნებული სასკოლო გარემო. აღზარდოს, კანონმორჩილი, ტოლერანტი, განვითარებაზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი, ქვეყნისა და გარემოსადმი პასუხისმგებელი მოქალაქე.

სკოლის ღირებულებები

სკოლის ღირებულებები მჭიდრო კავშირშია გაცხადებული მისიისა და ხედვის სრულყოფილად განხორციელებასთან და ეფუძნება სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებებს და პრიორიტეტებს. შესაბამისად, ამ ღირებულებათა გათვალისწინება მნიშვნელოვანია მოქმედების ყველა ასპექტში. სკოლა დგას შემდეგ მთავარ ღირებულებებზე:

- სამართლიანობა და სამართლიანი გარემოს შექმნა;
- ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კავშირების ხელშეწყობა;
- გუნდურობა;
- პასუხისმგებლობა;
- თანასწორობა და თანამშრომლობა.